განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

მასწავლებელთა განათლება

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

21.02.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

**19.03.2020**

თბილისი

2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებელთა განათლება |
| განათლების საფეხური | სამაგისტრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | 0302 მასწავლებლის განათლების მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეთერ ხანჯალიაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,,მასწავლებელთა განათლება“-ს უნივერსიტეტის ახორციელებს 2004 წლიდან წლიდან. ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. პროგრამამ საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე განიცადა ცლილება, რაც განპირობებული იყო სტუდენტთა და დამსაქმებლის გამოკითხვებისა და დარგში მიმდინარე ცვლილებებით. პროგრამას დაემატა თანამედროვე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ისეთი აუცილებელი საგნები, როგორიცაა: კარიერის განვითარება და მენეჯმენტი, სამოქალაქო განათლება, კულტურულ-საგანმანათლებლო ინოვაციები თანამედროვე სასწავლო პროცესში, ინტერკულტურული განათლება, სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და პრაქტიკა, განათლება და ბავშვთა უფლებები და სხვა. მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი. პროგრამა შედგება სასწავლო (95 ECTS) და კვლევითი კომპონენტისაგან (25 ECTS).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა განათლების 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 თებერვალს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (პრორექტორი, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდართებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**
  - დაკონკრეტდეს დასაქმების სფერო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში.
  - ერთიანი სამაგისტრო მისაღები გამოცდა A ტიპი შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობის (2020 წლის 31 იანვრის #16/N ბრძანება) შესაბამისად.
  - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B1 დან B2 მდე.
  - რეკომენდირებულია ჩაშენებული პრაქტიკის დამატება სასწავლო კურსებში.
  - რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებაში დოქტორანტების ჩართულობა და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან .
  - სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება სავალდებულო წესად იქნას შემოღებული.
  - გაიზარდოს კომუნიკაცია მასწავლებლებსა და უნივერსიტეტს შორის. შემუშავდეს მასწავლებლების მოტივაციის გაზრდის სტრატეგიები მაგ. შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი კონფერენციები სადაც სტუდენტებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - მაგისტრანტების ჩართულობის გაზრდა კონფერენციებში და მათი მოტივაციის ამაღლება კურიკულუმის გარე აქტივობებში ჩასართავად. გარდა ამისა, კარიერული მხარდაჭერის ცენტრის როლის ზრდა სტუდენტთა დასაქმების საკითხში.
  - **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამის ყველა სასწავლო კურსში გამახვილებულია ყურადღება აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობას და ნორმებზე,რაც შეიძლება კარგ პრაქტიკად ჩაითვალოს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები განსაზღვრავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც უკავშირდება საჭიროებებს საგანმანათლებლო მეცნიერებების განვითარების და მასწავლებლის მომზადების სფეროში. პროგრამის აღწერილობაში მოცემულია პროგრამის ძირითადი მიზნები. სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს საგნის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი, რომელიც სიღრმისეულად ფლობს სწავლების მეთოდებს, იცნობს პედაგოგიურ / ფსიქოლოგიურ დისციპლინებს, იცნობს და პრაქტიკაში იყენებს განათლების კვლევის მეთოდებს. პროგრამის მიზნები ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას. საერთო ჯამში, პროგრამის ძირითადი ფოკუსია სტუდენტების მომზადება მასწავლებლად მუშაობისთვის და საგნის სწავლების მეთოდიკის დაუფლებისთვის. სწავლების მეთოდიკის აუცილებლობა იყო ინტერვიუების დროს წამოჭრილი საკვანძო საკითხი.<br>პროგრამა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ მიხედვით.<br>პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადია. ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ge/ |

| |
|---|
| ○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ პროგრამის სასწავლო გეგმა<br>○ პროგრამის კურსების სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია იმ აუცილებელი ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის გათვალისწინებით, რაც უნდა გამოუმუშავდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს. სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აძლევს ღრმა, სისტემურ ცოდნას პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ დისციპლინებში, სწავლების მეთოდიკაში, კვლევის მეთოდებისა და საკანონმდებლო ბაზის შესახებ. სასწავლო პროგრამის სილაბუსები შეიცავს სფეროს უახლეს ლიტერატურას, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტი ეცნობა საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებს. პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლება/სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება, ისე განათლების სფეროში მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება. სწავლის პროცესში მას უვითარდება კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი. მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება თსუ-ს მისიასა და პროგრამის მიზნებს.

პროგრამის სწავლის შედეგებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება. პროგრამის სასწავლო გეგმაში შედის პედაგოგიური პრაქტიკა 1-ის და პედაგოგიური პრაქტიკა 2-ის პრაქტიკული კურსები. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ისიც გათვალისწინებულია, რომ სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.

დამსაქმებლებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა მათი რეკომენდაციებიც. ასევე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნის შესაბამისად პროგრამას დაემატა არჩევითი საგნები.

პროგრამის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების შეფასება ხორციელდება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება №:02/03-ის მეშვეობით. გარდა ამისა, თსუ-ში მოქმედ პროგრამებზე რეგულარულად ხორციელდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, რასაც ითვალისწინებენ პროგრამების განვითარების კუთხით.

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამას ახლავს შედეგების შეფასების სქემები, რომელთა მიხედვითაც ყოველი სასწავლო წლის დასასრულს ფასდება პროგრამა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან;<br>○ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება №:02/03<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ პროგრამის სასწავლო გეგმა<br>○ პროგრამის სწავლის შედეგები<br>○ კურსების სილაბუსები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☑ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.<br>პროგრამა შეთავაზებულია სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი ქართულ ენაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენაში ან გერმანულ ენაში. კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა A ტიპის ტესტი; შიდასაუნივერსიტეტო წერითი გამოცდა შესაბამის საგანში (ქართული ენა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა). განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის #16/N ბრძანების თანახმად, ცვლილებები შევიდა სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებაში. A, B და C ტიპის ტესტების ნაცვლად, მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებმა უნდა ჩააბარონ ერთი ტესტი. ამის გამო, რეკომენდებულია ცვლილების შეტანა და სამაგისტრო გამოცდის ტესტის დასახელებიდან „A ტიპის“ ამოღება.<br>პროგრამის ინგლისური ენის სპეციალობაზე ჩასაბარებლად საჭიროა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე |

სერტიფიკატით. გერმანული ენის სპეციალობაზე – გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ქართული ენის და მათემატიკის სპეციალობაზე – ინგლისური / გერმანული / ფრანგული ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით.

როგორც მიღების კრიტერიუმებიდან ჩანს, სტუდენტებს ინგლისური ენის ცოდნის განსხვავებული დონე მოეთხოვებათ. ამავდროულად, კურსის სილაბუსების ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი ინგლისურ ენაზეა. ამ ლიტერატურის გასაცნობად სტუდენტებს მინიმუმ B2 დონეზე დასჭირდებათ უცხო ენის ცოდნა. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ge/
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- მისაღები გამოცდა A ტიპი შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობის (მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის #16/N ბრძანება) შესაბამისად.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გაიზარდოს ინგლისური ენის ცოდნის დონე B1 დან B2 მდე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი მოიცავს მასწავლებელთა განათლების სავალდებულო თეორიულ საფუძვლებს, სავალდებულო ფსიქოლოგიურ დისციპლინებს, პროფესიულ პრაქტიკას, სამაგისტრო ნაშრომს, მასწავლებელთა განათლების პროფილის სავალდებულო/არჩევით და არჩევით დისციპლინებს. პროგრამის 120 კრედიტი გაწერილია 4 სემესტრად, წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სავალდებულო კურსები - 55 კრედიტი; სავალდებულო / არჩევითი კურსები - 20 კრედიტი; არჩევითი კურსები - 20 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი.

პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი) თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის ინტეგრირებული მთლიანი პროგრამის სტრუქტურაში. თუმცა, ცალკეული საგნების მეთოდიკის სწავლებისას ექსპერტთა ჯგუფს ასევე აუცილებლად მიაჩნია პრაქტიკის კომპონენტის არსებობა, რასაც პროგრამა (ცალკეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა) ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, რეკომენდებულია ამ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის დამატება.

მთლიანობაში, პროგრამის შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს და სასწავლო მიზნების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ დადგენილება №100/2019
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ge/
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე რეკომენდირებულია ჩაშენებული პრაქტიკის დამატება სასწავლო კურსებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| კურსების სილაბუსები და კრედიტების განაწილება შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფს ცალკეული საგნების მეთოდიკის სწავლებისას საჭიროდ მიაჩნია ჩაშენებული პრაქტიკის უზრუნველყოფის აუცილებლობა.<br>კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისადაა წარმოდგენილი. თითოეული კურსის სწავლის შედეგები აღწერს, რა ცოდნას, რა სახის ტრანსფერულ უნარებს და პასუხისმგებლობა / ავტონომიურობის რა ფორმებს ავითარებს ეს კონკრეტული კურსი.<br>თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალიდან. სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურა შეიცავს როგორც დარგის კლასიკას, ისე აქტუალურ და თანამედროვე სახელმძღვანელოებს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, გაეცნონ შესაბამისი დარგების სიახლეებს. პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი ინგლისურ ენაზეა. ბიბლიოთეკაში ვიზიტმაც დაადასტურა, რომ სტუდენტები ქართულ ენაზე უფრო ხშირად ითხოვენ წიგნებს, მაგრამ ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებზეც არის მოთხოვნა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა;<br>○ სწავლის შედეგების რუკა;<br>○ კურსების სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ ბიბლიოთეკაში ვიზიტი. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ განვითარებას სხვადასხვა გზით. კურსების სასწავლო პროგრამა მოიცავს ლექციების, სემინარების და პრაქტიკული დავალებების ერთობლიობას, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების განვითარებას სწავლის შედეგების შესაბამისად.<br>თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ბოლო ათწლეულში განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის 22-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში. ინტერვიუზე კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ისინი სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო ტურში (კერძოდ, თურქეთში) იღებდნენ მონაწილეობას. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმადაც, მათ ნამდვილად აქვთ კონფერენციების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ მონაწილეობას არ იღებენ. მიზეზად უმრავლესობამ მოუცლელობა დაასახელა.<br>ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრების თანახმად, პროგრამის კურსდამთავრებულთა ტიპური დამსაქმებლები არიან სკოლები. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- კურსდამთავრებულთა ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში (სტუდენტური კონფერენციები, სასწავლო ვიზიტები);
- ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმი სკოლებთან.

**რეკომენდაციები:**

- გაიზარდოს კომუნიკაცია მასწავლებლებსა და უნივერსიტეტს შორის. შემუშავდეს მასწავლებლების მოტივაციის გაზრდის სტრატეგიები მაგ. შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი კონფერენციები სადაც სტუდენტებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

| |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება შინაარსსა და სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების უმეტესობაში გამოყენებული სწავლების მეთოდები ინტერაქტიურია და სტუდენტები პრაქტიკული დავალებების შესრულებით სწავლობენ მასალას. მაგალითად, სწავლების პროცესში მულტიმედიის გამოყენების კურსის სწავლების მეთოდებია ონლაინ დისკუსია / დებატები, პრობლემაზე/პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლების მეთოდები (დისკუსიაში მონაწილეობა, როლური თამაშები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დებატები, წიგნზე მუშაობა) შეესაბამება სწავლების საფეხურს, ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სამაგისტრო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევას.<br>თსუ-ში ჩატარებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ნაკლებად გამოიყენებოდა სწავლების აქტიური / თანამედროვე ფორმები, რაც სტუდენტების უკმაყოფილებას იწვევდა. მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამამ შეისწავლა სტუდენტების მოთხოვნები სწავლების ზოგიერთი მეთოდის მიმართ და გაითვალისწინა პროგრამის სილაბუსებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა;<br>○ კურსების სილაბუსები;<br>○ სწავლებისა და სწავლის მეთოდები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებისა და უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. თითოეულ სილაბუსში გაწერილია შეფასების ფორმები - შუალედური და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (მაქს. 100 ქულა). შეფასების მეთოდები მოიცავს ტესტს, ესეს, პრეზენტაციას, წერილობით და ზეპირ დავალებებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სტუდენტები ეცნობიან სილაბუსს სემესტრის დასაწყისში და რეგულარულად იღებენ დავალებების შეფასებასა და უკუკავშირს სემესტრის განმავლობაში. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ შეფასება ობიექტურია და არასოდეს ჰქონიათ მისი გასაჩივრების საბაბი.

სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვას აფასებს კომისია, ნაშრომების

| |
|---|
| შეფასების რუბრიკაც ასევე ხელმისაწვდომია. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან 50 რეცენზენტის შეფასებაა, 20 ხელმძღვანელის, 30 ქულას კი საგამოცდო კომისია წერს. მინიმალური დადებითი შეფასებაა 51 ქულა. როგორც აღნიშნული წესიდან ჩანს, ერთი ადამიანის შეფასებას (კერძოდ, რეცენზენტის) შეუძლია, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე. როგორც ინტერვიუების შედეგად გამოჩნდა, რეცენზენტები ხშირად არიან უნივერსიტეტის დოქტორანტები, რომლებიც ქულების დასაგროვებლად ასრულებენ ნაშრომების რეცენზირებას. ვიზიტის დროს ნანახი სამაგისტრო ნაშრომების შეფასებაში გარკვეული ერთგვაროვნება შეინიშნებოდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ რეცენზირებას ხშირად აქვს ფორმალური ხასიათი.<br>ინტერვიუს დროს კითხვა დაისვა სამაგისტრო ნაშრომების ერთჯერედად შეფასების შესახებ, რაზეც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა გაგვაცნო, ფაკულტეტის მიერ შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომების შეფასების პროექტი, სადაც გაწერილი იყო ერთჯერადი შეფასების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.<br><br>სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში განმარტებულია პლაგიატი და პლაგიატის ზოგადი ნორმები, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის და საჯარო დაცვის წესი არ ითვალისწინებს პლაგიატზე შემოწმების სავალდებულო წინაპირობას, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ დრომდე ნაშრომების შემოწმება ხდებოდა სტუდენტების სურვილისამებრ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ge/<br>○ მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა;<br>○ კურსების სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებაში დოქტორანტების ჩართულობა და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან . |

| |
|---|
| ○ სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება სავალდებულო წესად იქნას შემოღებული. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ☑ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

